

საქართველოს კანონი “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონში “ადვოკატთა შესახებ” შეტანილ იქნას შემდეგი
ცვლილებები და დამატებები:

I. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ. ტესტირების ჩატარების თარიღს,
წესს და პროგრამას ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭო, ხოლო ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის
დებულებას – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება.”

II. 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით: “ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი
საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საკვალიფიკაციო კომისიის
დებულებას”.

III. 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით: “კოორდინაცია გაუწიოს ადვოკატთა ტესტირების
ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დაამტკიცოს
ადვოკატთა ტესტირების წესი, პროგრამა და განსაზღვროს ტესტირების
ჩატარების თარიღი.”

IV. 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“დამფუძნებელი კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება იმ პირთა ერთი
მესამედი, რომლებსაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ
კრებაში და დადეს ადვოკატის ფიცი კანონით განსაზღვრული წესით.
დამფუძნებელ კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების
უმრავლესობით. დამსწრე წევრთა რაოდენობა დაითვლება ყოველი
კენჭისყრის წინ.”

V. ამავე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში
მონაწილე წევრთა ხმების უმეტესობას, მაგრამ არანაკლებ 25 ხმისა.
ხელახალი კენჭისყრა ტარდება ხმათა თანაბარი რაოდენობის მიმღებ
კანდიდატებს შორის, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა
რაოდენობას. ასარჩევი ორგანოს კანონით გათვალისწინებული
რაოდენობის წევრთა აურჩევლობის შემთხვევაში ხელახალი კენჭისყრა
ტარდება ორგანოს წევრთა კანონით გათვალისწინებული რაოდენობის
შეესებაამდე.

VI. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ავტორი: ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”